საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეძმარიაშვილი ნუგზარ გრიგოლის ძე

მეძმარიაშვილი ნუგზარ გრიგოლის ძე (დ. 18. II. 1945, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1982). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის კერამიკის განყ-ბა (1968). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობს 1969-იდან. პერსონალური გამოფენები ჰქონდა მოსკოვის კულტურის ცენტრ „მზიურში“ (1991), შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში (2016) და სხვ. ნამუშევრები: მონუმენტურ-გამოყენებითი ხელოვნება – მოზაიკური პანო „პრომეთეოსი“ (საქართვ. მეცნ. აკადემიის ბ-კა; 1968-71); „გამარჯვება“ (სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ რელიეფური ვიტრაჟი და კედლის ფერწერა (1980-82); წიგნის გრაფიკა – ა. ყაზბეგის „თხზულებანი“ (1974), გ. გეგეშიძის „ორი რომანი“ (1979), გილგამეშიანი: ძველი შუამდინარული ეპოსი (აქადურიდან და შუმერულიდან თარგმნა ზ. კიკნაძემ; 2009); დაზგური გრაფიკა – სერიები „ძველი თბილისი“, ოფორტი „მთვარე“ (1984), ლინოგრავიურები: „მწყემსი“ (1984), „ბერი“ (1985), „ბოშა ქალი“ (1986) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. საქართვ. ეროვნ. გალერეაში, კეჩკემეტის მუზეუმში (უნგრეთი), ასევე კერძო კოლექციებში.